საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 245 2019 წლის 15 ივლისი ქ. თბილისი

„ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამის“ ფარგლებში საქართველოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის დაფინანსების შეთანხმების (1 მილიონი ევრო) დადების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის თანხმობის მიცემისა და გრანტის მიმღები ორგანოს განსაზღვრის თაობაზე

1. მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომ საქართველოს სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამის“ ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურებასთან დაკავშირებით საქართველოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის გასაფორმებელ დაფინანსების შეთანხმებას (1 მილიონი ევრო).

2. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული შეთანხმებით გათვალისწინებული გრანტის მიმღებ ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

№1

მამუკა ბახტაძე